ხაშურის მოამბე

№26 (157) 2 ივლისი, ორშაბათი, 2018 წელი

ტენდერები -- ეკონომიამ მილიონ ლარზე მეტი შეადგინა

ამ დღეებში, მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ (თავმჯდომარე ზვიად ტეფნაძე), მოისმინა მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების 2018 წლის ორი კვარტლის ანგარიში (1 იანვრიდან 25 ივნისის ჩათვლით). როგორც კომისიის სხდომაზე განყოფილების უფროსმა მარიამ გოგალაძემ განაცხადა, ამ პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული იქნა 43 ტენდერი, საიდანაც 29 ტენდერი დასრულდა დადებითი შედეგით, ანუ გაფორმდა ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (გამოცხადებული ტენდერების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 4 991 366.36 ლარს, ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება შეადგენს 3 902 556.91 ლარს, ეკონომია 1 088 809.45ლარი). გამოცხადებული ტენდერებიდან არ შედგა 10 ტენდერი, 4 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

2018 წლის I-II კვარტალში(1 იანვრიდან -25 ივნისის ჩათვლით) სულ განხორციელებულია 108 შესყიდვა, რამაც გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით შეადგინა 4 184 608.74 ლარი.

ზემოაღნიშნული შესყიდვებიდან, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებულია 73 ხელშეკრულება, 232 615.20 ლარის შესყიდვაზე.

ელექტრონული ტენდერების საშუალებით გაფორმებულია 35 ხელშეკრულება, 3 951 993.54 ლარის შესყიდვაზე.

№7 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია დასრულდა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სა

მინისტრომ, ხაშურში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე №7 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია დაასრულა. პროექტი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განხორციელდა და მისი ღირებულება დაახლოებით 904 ათასი ლარია.

დასრულებული პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ჯუანშერ ბურჭულაძემ დაათვალიერა.

ახალი საბავშვო ბაღი 6 ასაკობრივ ჯგუფზეა გათვლილი და 200 აღსაზრდელს მოემსახურება. შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

პროექტის ფარგლებში მოეწყო ბაღის მიმდებარე ტერიტორია, მოპირკეთდა შენობის შიდა და გარე კედლები, შეიცვალა კარ-ფანჯარა და წყალგაყვანილობა, დამონტაჟდა გათბობა-გაგრილების სისტემა.

სასამართლომ მიხეილ სააკაშვილი ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე დამნაშავედ ცნო

თბილისის საქალაქო სასამათლომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დეპუტატ ვალერი გელაშვილის საქმეზე დამნაშავედ ცნო.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტის წევრ ვალერი გელაშვილზე 2005 წელს მომხდარი შეიარაღებული თავდასხმის და მისი ცემის საქმეზე, საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ორგანიზება ედება ბრალად. მასთან ერთად, ამავე საქმეზე პასუხისგებაში შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ივანე მერაბიშვილი, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ერეკლე კოდუა და ამავე დეპარტამენტის სამმართველოს ყოფილი უფროსი გია სირაძე მიეცნენ. აღნიშნულ საქმეზე მერაბიშვილის, კოდუასა და სირაძის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენებია დამდგარი. კერძოდ, ივანე მერაბიშვილს საქალაქო სასამართლომ 6 წლითა და 9 თვით, ერეკლე კოდუასა და გია სირაძეს კი 9 წლით თავისუფლების აღვეთა აქვთ შეფარდებული.



28 ივლისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გამართულ სისხლის უანგარო დონაციის აქციაში, საკმაოდ ბევრი მსურველი ჩაერთო. აქციის ინიციატორი იყო ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტი. აქციაში მონაწილეებს კი მადლობის სიგელები გადაეცათ.

ჰემატოლოგიის ინსტიტუტის სისხლის ბანკიდან, საქართველოს მასშტაბით, 70-მდე კლინიკა მარაგდება, მათ შორის არის ონკოლოგიური, ჰემატოლოგიური პროფილის, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკები. ჰემატოლოგიის ინსტიტუტი ასევე ამარაგებს ონკოლოგიითა და ლეიკემიით დაავადებულ პაციენტებს, რომელთათვისაც სისხლის ხშირი გადასხმა არსებით აუცილებლობას წარმოადგენს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია მადლობას უხდის საზოგადოებას ქველმოქმედებისთვის!

განმარტება

2018 წლის 5 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო 61 დადგენილება - „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლების და კატების) მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციის მართვის წესი.” აღნიშნულ დადგენილებაში გათვალისწინებულია საქართველოში მოქმედი ცხოველთა დაცვის ავტორიტეტული ორგანიზაციების ოფიციალური მოსაზრებები და ცხოველთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები.

წესის მიღების მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლი, კატა)მოვლა-პატრონობისა და პოპულაციების მართვის თანამედროვე,მსოფლიოში აპრობირებული ჰუმანური მეთოდებით ადამიანისა და ცხოველის თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო გარემოს შექმნა. დადგენილებით აიკრძალა ცხოველთა ორთაბრძოლები, ცხოველთა გამოყენება სამიზნეებად, გართობის მიზნით, ცხოველთა წამება, ცხოველებისათვის ვეტერინარული დახმარების გარეშე არსებობა და დეტალურად განისაზღვრა ის ქმედებები, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ცხოველისადმი სასტიკ მოპყრობად. თუმცა, სამწუხაროდ, ერთ-ერთი ტელეკომპანიის თანამშრომელი დაინტერესდა მხოლოდ დადგენილების 11-ე მუხლით და მოახდინა მისი არასწორი ინტერპრეტაცია. აღნიშნულ მუხლში კი აღნიშნულია,რომ ყველა პირი,რომელიც ეწევა სელექციას ცხოველთა გამრავლების მიზნით,პასუხისმგებელია ცხოველის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მახასიათებლებზე,რათა რისკის ქვეშ არ დააყენოს ნაყარის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა. აკრძალულია ცხოველთა გამრავლება სხვადასხვა დაავადებების, თანდაყოლილი ხარვეზებისა და პათოლოგიების არსებობის შემთხვევაში,აგრეთვე პოპულაციური კონტროლის მიზნით,აკრძალულია 2 წლამდე და 6 წელს ზემოთ წელიწადში ერთზე მეტად ცხოველების გამრავლება.

საკრებულოს თითოეული წევრისთვის მიუღებელია საკითხის მსგავსი ინტერპრეტაციით გაშუქება და მზადაა, მისცეს განმარტებები და კონსტრუქციულად ითანამშრომლოს საინფორმაციო საშუალებებთან თუ ნებისმიერ დაინტერესებულ პირთან და არა მათთან, რომლებიც დაინტერესებულები არიან საკრებულოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოების დისკრედიტაციით.

კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ აღნიშნული დადგენილება, თავისი შინაარსით, მნიშვნელოვანია და მიუსაფარ ცხოველთა პოპულაციის მართვის პრობლემების მოგვარების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მასში მოცემული რეგულაციების ამოქმედება, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასთან ერთად, მნიშვნელოვნად შეამცირებს მიუსაფარ ცხოველთა რაოდენობას ქუჩაში.

აქვე გთავაზობთ ზემოაღნიშნული დადგენილების მე-11 მუხლს, რომლის გაცნობის შემდეგ, მკითხველი კიდევ ერთხელ დარწმუნდება, რომ ეს მუხლი აბსოლუტურად თანხვედრაშია ცხოველთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან.

მუხლი 11. ცხოველების მოშენება

1. ცხოველების მოშენება უნდა იყოს მიზნობრივი, გეგმაზომიერი და წინასწარგანსაზღვრული.
2. ყველა პირი, რომელიც ეწევა სელექციას ცხოველთა გამრავლების მიზნით, პასუხისმგებელია ცხოველისა და მისი კეთილდღეობის მახასიეთებლებზე, რათა რისკის ქვეშ არ დააყენოს ნაყარის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.
3. აკრძალულია ცხოველების გამრავლება შემდეგი დაავადებების დაფიქსირების შემთხვევაში: დისპლაზია, გენერალიზებული დემოდეკოზი, იდეოპათიური ეპილეფსია, კრიპტოხიზმი, ლეიშმანიოზი-გენეტურისნეულებების, თანდაყოლილი ხარვეზებისა და პათოლოგიების მქონე გენეტიკურად არასრულფასოვანი, ასევე პოპულაციური კონტროლის მიზნით აკრძალულია 2 წლამდე და 6 წელს ზემოთ და წელიწადში ერთზე მეტად ცხოველების გამრავლება.
4. აკრძალულია სხვადასხვა სახეობის და სხვადასხვა ჯიშის ცხოველების შეჯვარება, ერთი სახეობისა და სხვადასხვა ჯიშის ცხოველების შეჯვარება დასაშვებია მხოლოდ სელექციურ წესებს დაქვემდებარებული ჯიშების შემთხვევაში.
5. ფიზიკური პირები, რომლებიც ეწევიან ცხოველების კომერციულ მოშენებას და მათ პერმანენტულ რეალიზაციას, სავალდებულოა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დარეგისტრირდნენ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირად.

მუნიციპალიტეტის საკრებულო

რას (არ) გულისხმობს რეალურად “ცხოველებისთვის სექსის აკრძალვა”

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, 5 ივნისს, შინაური ცხოველების – ძაღლებისა და კატების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის წესი დაამტკიცა. დადგენილების მე-11 მუხლით საკრებულომ შინაური ცხოველები მოშენების ასაკი განსაზღვრა, კერძოდ, აკრძალა იმ ცხოველების გამრავლება, რომელთა ასაკიც ან 2 წლამდეა, ან 6 წელს ზემოთ.

საკრებულოს ამ გადაწყვეტილების შემდეგ, რამდენიმე მედიასაშუალებაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ხაშურის საკრებულომ “ცხოველებს სექსი აუკრძალა”. ნეტგაზეთი დაუკავშირდა ხაშურის საკრებულოსა და მერიას, რათა გაერკვია, თუ რატომ დაადგინა საკრებულომ ცხოველების მოშენებისთვის სპეციალური ასაკი.

როგორც საკრებულოს დადგენილებაში ვკითხულობთ, გარდა ასაკობრივი შეზღუდვისა, აიკრძალა ცხოველების მოშენება ისეთი დაავადებების შემთხვევაში, როგორიცაა დისპლაზია, გენერალიზებული დემოდეკოზი, იდეოპათიური ეპილეფსია, კრიპტოხიზმი, ლეიშმანიოზი, გენეტიკური სნეულებები. გარდა ამისა, იკრძალება სხვადასხვა სახეობისა და სხვადასხვა ჯიშის ცხოველების შეჯვარება.

როგორც ხაშურის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი დავით ღვალაძე განმარტავს, აღნიშნული ცვლილება ეხება მხოლოდ იმ პირებს, ვინც სელექციური მოშენებითაა დაკავებული. კერძო პირებისთვის აღნიშნული შეზღუდვები არ მოქმედებს.

“კანონპროექტი შევადგინეთ “საქართველოს ცხოველთა ფედერაციისა” და სხვა ცხოველების უფლებადამცველი ორგანიზაციების რეკომენდაციების საფუძველზე. რაც შეეხება უშუალოდ ამ ჩანაწერს, როდესაც საუბარი გვაქვს მიზნობრივ სელექციაზე, გასათვალისწინებელია, რომ მაგალითისთვის, 2 წლამდე ძაღლი ჯერ ლეკვია და მათი გამრავლება მიზანშეწონილი არ არის. ასევე არაა რეკომენდებული იმ ძაღლების გამრავლება, რომელთა ასაკიც 6-ს ზემოთაა. 2-დან 6 წლამდე ეს არის საუკეთესო ასაკი ცხოველისთვის, სწორედ ამ ასაკში უნდა მოხდეს “ჯიშიანი” ცხოველების მოშენებაც,” – განმარტავს დავით ღვალაძე.

რაც შეეხება აკრძალვას, რომლის მიხედვითაც, ცხოველების მოშენება მხოლოდ წელიწადში ერთხელ შეიძლება, ღვალაძის თქმით, ეს არა მხოლოდ ცხოველის ჯანმრთელობის ინტერესებიდან გამომდინარე ხდება, არამედ პოპულაციის კონტროლისთვისაც. უწყების განმარტებით, შესაბამისი შეზღუდვების დაწესებით ცხოველების რაოდენობა მკვეთრად არ გაიზრდება და მათი რაოდენობის კონტროლი ცხოველთა ერთიანი რეესტრით განხორციელდება.

“პოპულაციურ კონტროლში იგულისხმება ისიც, რომ, შესაბამისად, ეს ორგანიზაციები აღრიცხვას აწარმოებენ. კონკრეტულად, სელექციონერი ცხოველთა ერთიან რეესტრში, მოშენების შესახებ, ისეთ ინფორმაციას შეიტანს, როგორიც არის, მაგალითად, მოშენების ადგილი, დრო, ცხოველის ჯიში და ა.შ. ,” – აღნიშნა დავით ღვალაძემ.

ნინო ბიძინაშვილი, ნეტგაზეთი

- სოფლის მეურნეობა -

ორი პროექტის პრეზენტაცია

26 ივნისს, ალის მოსახლეობასთან მოხდა შეხვედრა usaid-ის პროექტის ფარგლებში, რომელიც ორი სოფლის, ალისა და წაღვლის მოსახლეობის ინფორმირებულობას ისახავს მიზნად, აგრეთვე, მოეწყო ორი პროექტის პრეზენტაცია, დაინტერესებულ მოსახლეობას, საგრანტო კონკურსში მონაწილეობის საფუზველზე, ეძლევა შესაძლებლობა დაიწყონ სასათბურე და სამაცივრე მეურნეობა, რაც მათ შრომას გააიოლებს და ხელს შეუწყობს ბაზრისთვის მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას.

როგორც ჩვენთან საუბარში, შიდა ქართლის ოფისის წარმომადგენელმა მიხეილ ჯაფარიძემ აღნიშნა:

–იუსაიდის პროექტის “ზრდა საქართველოში”ფარგლებში, ხორციელდება ერთ-ერთი აქტივობა, რომელსაც ჰქვია “ფერმერთა საველე სკოლა”, ამ პროექტის ფარგლებში, ადგილზე ხდება ფერმერებთან შეხვედრა სამიზნე თემებში. დაინტერესებულ მოსახლეობას ვაწვდით ინფორმაციას სათბურში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე, სასათბურე მეურნეობაზე, მოვლა-მოყვანის აგროტექნიკებზე, სათბურის აწყობაზე, წვეთოვანი სარწყავი სისტემის მუშაობაზე და სხვა. ასევე ხდება ჩვენი ორი საგრანტო პროექტის პრეზენტაცია, რომლებიც ამ დროისთვის გვაქვს, ესაა სამაცივრე საწყობების მოწყობა და სათბურების მოწყობა. სამიზნე სოფლები ხაშურის მუნიციპალიტეტში არის ალი და წაღვლი-რომელიც საზღვრისპირა სოფელს წარმოადგენს. დაფინანსებისთვის საჭიროა გამოცდილების ქონა, წყალთან და დენთან წვდომა. სათბურის გაკეთების სურვილის შემთხვევაში, მოთხოვნა ჩვენი მხრიდან, არის 10 მეასედი მიწის ნაკვეთის ქონა, სამაცივრე საწყობის შემთხვევაში, სხვა პირობებია. ასევე, პროექტების მართვის სააგენტოსთან ჩვენ გვაქვს მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც, ჩვენი თანამონაწილეობით, 60 % დაუფინანსდებათ. ამ პროექტის ფარგლებში,განსაზღვრულია 50 ბენეფიციარის დაფინანსება სათბურის მოწყობით. დაფინანსების შემთხვევაში,ჩვენი მხრიდან, მოხდება პერიოდული მონიტორინგი. დაფინანსებულ ბენეფიციარს მხოლოდ აქტიურობის და საქმის კეთების ვალდებულება აქვს.

თ. ჯავახიშვილი



ბრძოლა ნახვეტრებზე

(ტაშისკრის ბრძოლა)

„ჰკითხეთ ტაშისკარს.
ჰკითხეთ ასპინძას,
რა მასპინძლობაც
მტერს დავახვედრეთ“.
გ. ლეონიძე

1609 წლის ივნისში, ქვიშხეთის მინდორზე, ე.წ. ნახვეტრებზე მოხდა ბრძოლა, რომელიც ცნობილია, როგორც ქვიშხეთის, ისე ტაშისკრის ბრძოლის სახელით. სასკოლო სახელმძღვანელოებში, თითქმის ყველგან, აღნიშნული ბრძოლა ქვიშხეთის ბრძოლად მოიხსენიება. ვახუშტი ბატონიშვილი, ბერი ეგნატაშვილი აღნიშნავენ,რომ ოსმალთა და ყირიმელ თათართა დიდი ჯარი “დადგნენ ტაშისკრის ბოლოს “ნახვეტარში”, სადაც, ფაქტობრივად, მოხდა ბრძოლა. აღნიშნულმა ბრძოლამ ქართულ პოეზიაშიც ჰპოვა გამოძახილი. კერზოდ, იოსებ თბილელის “დიდმოურავიანში”. არაერთმა ქართველმა პოეტმა (გ.ლეონიძე, შ. ნიშნიანიძე, გ. აბაშიძე და სხვა) მიუძღვნა საინტერესო სტრიქონები.

საისტორიო წყაროების მიხედვით, “ნახვეტრებზე” მომხდარი ბრძოლა(ნახვეტრები ხომ იგივე ქვიშხეთის მინდორია), როგორც ქვიშხეთელებს, ასევე ტაშისკრელებს, შეუძლიათ სიამაყით მიითვალონ, მათ ტერიტორიაზე მომხდარად. ქვიშხეთლებს იმიტომ, რომ ბრძოლა ტაშისკრის ბოლოს მოხდა და გამარჯვებულმა ქართველებმა ნადიმი ტაშისკარში გადაიხადეს.

ერთი რამ ფაქტია: მაშინდელი ტაშისკარი, როგორც ჩანს, მდ. შოლას შესართავამდე გრძელდებოდა და დღევანდელი გიგიტაშვილების უბნის დიდი ნაწილიც იქ შედიოდა. მითუმეტეს, რომ



ლადო გუდიაშვილი. „ტაშისკრის ბრძოლა“.

ვიცით, ვახუშტის მიხედვით, ქვიშხეთი სად მდებარეობდა.

ახლა შევეხოთ თვითონ ბრძოლას, რომლის შესახებ ქართველ ისტორიკოსს ბერ ეგნატაშვილს იმდენად დაწვრილებით აქვს მოთხრობილი, მის მონაყოლს რომ მივყვეთ, არაფერი დაშავდება.

1609 წელი იდგა. ქართლში ლუარსაბ II მეფობდა, რომელსაც ულამაზეს ვაჟკაცად ახასიათებდნენ: “რამეთუ ესე მეფე ლუარსაბ იყო კაცი შუენიერი და კეკლუცი. სანახავად სატრფიალო, და არსად გამოსულა ამისთანა შუენიერი და შემკობილი კაცი, ყოვლისა საღმთო-საკაცობრიო ზნეობით გათავებული და უკლები”.

ამ დროს, თურქეთის სულთანი ერაყში ლაშქრობდა და თან ყირიმის ჯარიც ახლდა. ბრძოლის დამთავრების შემდეგ, ყირიმელ და თურქთა ჯარების ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა სამშობლოში საქართველოს გზით დაბრუნებულიყვნენ, ქართლის გავლით. “ქართლის გზა დიად კარგი არის და ჩვენზედაც მარჯუე არის, და იმაზედ გავიაროთ და საშოვარიც მრავალი ვიშოვოთ და წარვიდეთ უზიანოთ. და წამოემართნენ ქართველზედ, ვითარცა სამოცი ათასი.”

ამ დროს მეფე ლუარსაბი “ქრცხინვალს(ცხინვალი)” იდგა. თათართა შემოსევის შესახებ რომ მოუვიდა ამბავი, ვინაიდან მარტო იყო და არავინ ახლდა სასწრაფოდ აიყარა და ცხირეთში მივიდა.

თათრები ქართლში თრიალეთიდან შემოვიდნენ. მესაზღვრე სარდლებმა(ზაქარია და იარალი) ვერ შენიშნეს მტრის შემოსვლა. როგორც ჩანს, თათრებმა, რომლებსაც ქართული წყაროები “თათარხანის ჯარს” და “მგლისტყაოსნებს” უწოდებენ, იცოდნენ მეფის ცხირეთში ყოფნა და გადაწყვიტეს მისი ხელში ჩაგდება. მოაოხრეს მანგლისი და სოფელ კველთაში შევიდნენ, სადაც შეიპყრეს ერთი მდვდელი, სახელად თევდორე, რომელიც, მემატიანეს თქმით, იყო “პატიოსანი და მოშიში ღმრთისა და ერთგული მეფისა თვისისა”.

თათრები სოფელ გოსტიბაში რომ შევიდნენ, დაუწყეს მღვდელს ცემა ლახტით და უბრძანეს ცხირეთის გზა ესწავლებინა: “მიგვიძეხ მეფეზედაო”. მღვდელმა გულში თქვა “ჩემის ორი დღის სიცოცხლისათვის ამას რატო ვიქ, აწ მიუძღუე და მეფე მოვაკვლევინო და ქართლიც გააოხრონ, მე რაღა მეშველებაო და ან ჩემს სულსაო”.

ამ ფიქრით, სამშობლოს მოყვარული მღვდელი წაუძღვა თათრებს, წამოიყვანა ქვენა დრისის გზაზე ერთწმინდაში, რითაც ცხირეთს ძალიან დააშორა. თათრებმა, როდესაც გაიგეს, რომ მოტყუვდნენ, მღვდელს თავი მოჰკვეთეს. ქართულმა ეკლესიამ, მეფის და სამშობლოს ერთგული მღვდელი, წმინდანად შერაცხა.

ცხირეთში მეფეს თან ახლდა თბილისის მოურავი გიორგი სააკაძე და ზაზა ციციშვილი. მოურავმა მეფეს ურჩია, ნუ აჩქარდები და ვნახოთ, ღმერთი რას მოახდენსო.. სასწრაფოდ შემოიკრიბა ჯარი საბარათიანოდ და ზაზა ციციშვილის ჯართან ერთად დაიძრა თათართა წინააღმდეგ. ნიაბის ბოლოს, სხერტის ჭალასთან, ქართველნი მცირე ჯარით ეკვეთნენ მტერს და დიდი ზიანიც მიაყენეს. ზაზა ციციშვილმა კი დიდი ფაშა მოკლა. ჩამოხტა ცხენიდან, რათა თავი მოეჭრა. მოჭრილი თავი კბილებით დაიჭირა. თან თავდამსხმელებს იგერიებდა: მოახტა ცხენს და მეფეს ძლევამოსილი ეახლა.

შეშინებული თათრები აიყარენ და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს აყვნენ საციციანოს სოფლების რბევით და ძარცვით, სოფელ დოესში მივიდნენ, რათა იქიდან ,მტკვარზე გადებული ხიდით, მარცხენა ნაპირზე გადასულიყვნენ და გორში შეჭრილიყვნენ. გორის მიმავალი თათართა ლაშქარი სომეხმა მღვდელმა დაინახა, რომელიც გორიდან დოესში მიდიოდა. იგი სწრაფად გაბრუნდა უკან და ხიდი დაშალა.

ოსმალო-თათრები მტკვარზე ვერ გადავიდნენ, ისევ საციციანოს აჰყვნენ, მოარბიეს დარჩენილი სოფლები და სოფელ რბონაში გაჩერდნენ. აქ მათ მოახერხეს მდინარის გადალახვა. დაშალეს ხის სახლები და მტკვარზე ხიდი გააკეთეს. გავიდნენ მეორე ნაპირზე და ქვიშხეთის მინდორზე დაბანაკდნენ: “დადგნენ ტაშისკრის ბოლოში, “ნახვეტრებში”.

ამასობაში, მეფე ლუარსაბმა მოუწოდა ქართლის ჯარს სწრაფად შეკრებილიყვნენ და სურამის ბოლოს დახვედროდნენ.

თვითონ კი, მცირე ჯარით, გიორგი სააკაძესთან მივიდა. ივნისი იდგა. წვიმების შედეგად, მტკვარი დიდი მოდიოდა. იმ ღამეს იქვე გაათიეს. დილით ილოცეს და ცხენები წყალში შეაცურეს, რათა მარცხენა ნაპირზე გადასულიყვნენ “და იყო მაშინ მტკვარი და არა ეტეოდა კალაპოტში. და იყო ღვთისა საფარველი მათ ზედა და განვიდეს უვნებლად.”

ახალდაბიდან წამოსულები ქართველთა ჯარს შეუერთდნენ სურამის ბოლოს. ბრძოლის წინა დღეს ქართველებმა სააკაძის გეგმა მიიღეს: “მაშინ არჩივა მოურავმან თხრილის პირას გარეშემო მეთოფენი შემოვახვიოთო და ცხენოსანი მინდვრად მივიდეთო”. თხრილები თათრებმა თავდასაცავად ააგეს. სააკაძის გეგმით, ქართველი მეთოფეები თხრილებს უნდა მისდგომოდნენ, სროლა დაეწყოთ და თოფის კვამლს ქართველთა ჯარიც უნდა მიჰყოლოდა, სანამ გაიფანტებოდა. ასეც მოხდა – ქართველთა ცხენოსანი ჯარი განთიადზე მამაცურად ეკვეთა მტერს სააკაძის მეთაურობით. იგი შიშის ზარს სცემდა მტერს თავისი საშინელი ხმით, ბრძოლის ველზე დიდი სისწრაფით დაჰქროდა. იქ ჩნდებოდა, სადაც ყველაზე მეტად უჭირდათ ქართველებს. სახელოვნად იბრძოდა მეფე ლუარსაბი და სხვა ქართველი დიდებულები, აზნაურები და გლეხები. მტერმა თავისი რიცხობრივი უპირატესობა ვერ გამოიყენა-უამრავი თურქი დაიხოცა, ორი ფაშა ტყვედ ჩავარდა.

მემატიანეს თქმით, “ძუელთა გმირთაგანცა ძნელად შესაძლებლად საგონებელ იყო, რომე მაშინ მეფე და მოურავი დასრულებულად ქართველნი იბრძოდნენ”. “ამ ომსა შინა ფრაიად მხნედ გამოჩნდნენ მეფე ლუარსაბ და უმეტეს მოურავი”-გვამცნობს ვახუშტი ბატონიშვილი.

ბრწყინვალე გამარჯვება ჰხვდათ წილად ქართველებს. თათართა ბანაკი მთლიანად ხელთ იგდეს, რაც ქართლში ძარცვა-რბევით იშოვეს, ტყვეები თუ საქონელი-ყველაფერი დაატოვებინეს. აქა-იქ გადარჩენილმა შეშინებულმა თათრებმა ტყეს შეაფარეს თავი, სადაც სოფლის დედაკაცები იჭერდნენ, მოხდიდნენ დოლბანდს, წაართმევდნენ თუ რამე ჰქონდათ, შეიწყალებდნენ და გაუშვებდნენ

“ასეთი დიდი გამარჯვება მოსცა ღმერთმან ქართველთა და შემოიქცნენ გამარჯვებულნი და აღსავსენი საქონლითა და ჰქონდათ ლხინი და სიხარული(ბერი ეგნატიშვილი).”

რამდენადაც ქართლზე ირანის შაჰს დიდი გავლენა ჰქონდა და თურქეთი ირანის მტრად ითვლებოდა, ქართველებმა დახოცილი მტრის თავები ყაენს გაუგზავნეს და გამარჯვება მიულოცეს.

ბრზოლის ველზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, გადმოცემით, ქართველებმა დიდი ლხინი გადაიხადეს ტაშისკრის 500 წლოვანი წაბლის ძირში, ბუნების ულამაზეს წიაღში.

კ. სუთიაშვილი

ჩხეიძეთა და სააკაძეთა ფეოდალური სახლების ურთიერთობის ისტორიისათვის

ფეოდალურ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა წარჩინებულ გვართა შორის ქორწინებებს. ამ მხრივ გამონაკლისი არც ქართულ ფეოდალური საზოგადოება იყო. ქართველი დიდებულები, პოლიტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე, ცდილობდნენ ერთმანეთთან ქორწინებით დაკავშირებას. ისინი უნათესავდებოდნენ სამეფო კარსაც და პირიქით, სამეფო კარიც უნათესავდებოდა მათ. ამის არაერთი მაგალითია ცნობილი საქართველოს ისტორიაში. ასეთი ქორწინებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავდა ამ პოლიტიკას.

ქართლის სამეფოს ისტორიაში საინტერესო ურთიერთობა იკვეთება ჩხეიძეთა და სააკაძეთა ფეოდალურ სახლებს შორის, რაც დაფუძნებული იყო მათ შორის ქორწინებით კავშირზე.

ეს ორი ფეოდალური სახლი თითქმის ერთდროულად გამოდიან XVII საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის ქართლის სამეფოს პოლიტიკური ცხოვრების ავანსცენაზე. სააკაძეები XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან წინაურდებიან ქართლის სამეფო კარზე და მნიშვნელოვან წარმატებასაც აღწევენ. რაც შეეხება ჩხეიძეებს, ისინი, სიმონ I-ის მონდომებით, XVI საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გადმოდიან იმერეთიდან ქართლში. ამას წინ უსწრებდა სიმონ მეფის მიერ იმერეთის სამეფოს შემოერთების მცდელობა. ამ დროს, ჩხეიძეები სიმონის გვერდით იბრძვიან. აქ ერთ საყურადღებო დეტალს უნდა გაესვას ხაზი -ჩხეიძეები ქართლის სამეფო კარის ნათესავები არიან. ჩხეიძეთა სახლის მეთაური ქექაოზ ჩხეიძე ლუარსაბ პირველის სიძეა, მისი ქალიშვილი ჰყავს ცოლად. ქექაოზი და სიმონი სიძე-მოყვარე არიან. ამ ნათესაურმა კავშირმა განსაზღვრა ქართლში ჩხეიძეთა ფეოდალური სახლის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, მათი დაწინაურება ქართლის სამეფო კარზე.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჩხეიძეთა და სააკაძეთა სიახლოვემ ქართლის სამეფო კართან განსაზღვრა მათი დაახლოება და დანათესავება. ქართულ წყაროებში გიორგი სააკაძის ქალიშვილების შესახებ მწირი ცნობები მოგვეპოვება. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, „...ქსნის ერისთავი იასე და მუხრანის ბატონი თეიმურაზ მოურავის სიძენი იყვნენ“. იოსებ თბილელი „დიდმოურავიანში“ გიორგი სააკაძეს ათქმევინებს: „ფარად ფაშა ხომ სიძედ მყვა, თავდადებ, ჩემთვის მკვდარია.“ ამ სამი ქალიშვილიდან ორის სახელი უცნობია, ხოლო მესამის, ფარად ფაშას მეუღლის სახელია ცნობილი, მას ისტორიკოს პლ. იოსელიანის ცნობით მარიამი რქმევია. იგი უნდა იყოს ანე ხათუნი, რომელიც 1649 წელს გარდაიცვალა და დაკრძალულია არზრუმში.

ეს მარიამი (იგივე ანეხანუმი) უნდა იყოს დიდი მოურავისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის სასისხლო საქმეზე 1620 წლის 15 აპრილს სიმონ მეორის მიერ მიღებულ განჩინებაში მოხსენიებული გიორგი სააკაძის ერთ-ერთი, ამ შემთხვევაში მესამე ქალიშვილი. განჩინებაში აღნიშნულია, რომ ქაიხოსრო ჯავახიშვილს გიორგი სააკაძისათვის ქალიშვილის ხელი უთხოვია ვაჟიშვილისათვის. გიორგის თანხმობა მიუცია, მაგრამ როცა იგი სპარსეთში წასულა, ქაიხოსროს თავისი ვაჟისთვის ზურაბ არაგვის ერისთავის ქალიშვილი შეურთვევინებია ცოლად. „ქაიხოსრომ... ქალი მთხოვა და მივეცო. აწე ქაიხოსროს თავის შუილისათუის ცოლი უთხოვნიაო“. გიორგი სააკაძე მოყვრობის ჩაშლის მიზეზად მის სპარსეთში წასვლას ასახელებს. „ ყაენთან წასვლის გულისთვის ქალი რატომ დამიგდეს... დღესაც ისრევ უქმროდ არისო.“. ე.ი. როცა ეს განაჩენი იწერებოდა (1620 წ.) გიორგი სააკაძის მესამე ქალიშვილი გათხოვილი არ არის. გამოთქმულა ვარაუდი, რომ სწორედ ეს ქალიშვილი არის ფარად ფაშას მეუღლე. ამავეს აღნიშნავს ისტორიკოსი პლ. იოსელიანიც.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით, თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ გიორგი სააკაძეს სამი ქალიშვილი ჰყავს. პროფესორი გ. ჯამბურია, როცა ამ საკითხზე საუბრობს, მიუთითებს: „გიორგი სააკაძეს და მის მეუღლეს შვიდი შვილი ჰყავდათ (ყოველ შემთხვევაში, წყაროებში მეტი არ ჩანს). აქედან სამი ქალი იყო და ოთხი ვაჟი... ორი უფროსი ქალი გიორგის ირანში გადახვეწამდე, ე.ი. 1612 წლამდე გაუთხოებია. მესამე კი 1620 წ. შემდეგ გათხოვილა. უფროსი ქალი თეიმურაზ მუხრანბატონის მეუღლე ყოფილა, ორი დანარჩენიდან ერთი- იასე ქსნის ერისთავისა, ხოლო მეორე ახალციხელი ფარად-ფაშას მეუღლე. სხვა არაფერი ვიცით გიორგის ქალების შესახებ“.

აქვე გვინდა, ერთ საკითხსაც შევეხოთ. გიორგი სააკაძე, როცა სპარსეთში მიდის, ყურყუთას ფონზე გასვლის დროს, „დიდმოურავის“ მიხედვით, მას კოლოტაური დახვდა წინ. მას განზრახული ჰქონდა გიორგი სააკაძის შეპყრობა. მათ შორის გამართული დიალოგის გადმოცემისას იოსებ თბილელი გიორგის ათქმევინებს:

„...რას მამდევ, შენ რა გაქვს ჩემთან დავია?
ბატონიშვილმა გიბძანა, ვინ არის მუხრანთ თავია?
იგი არ მტერობს, არ მიმდევს, ჩვენ მოყვრობა გვაქვს ზავია“.

გიორგი სააკაძის ამ სიტყვებით ცნობილი ხდება, რომ თეიმურაზ ბაგრატიონ მუხრან ბატონი დიდი მოურავის სპარსეთში წასვლის მომენტში მისი სიძეა, რითაც დასტურდება პროფესორ გ. ჯამბურიას მოსაზრება, რომ გიორგი სივაძის ორი ქალიშვილი 1612 წლამდე, ირანში მის გადახვეწამდეა გათხოვილი.

პროფესორი ლ. სანიკიძე გიორგი სააკაძის რვა შვილზე ლაპარაკობს. აქედან ხუთი ვაჟია, ხოლო სამი ასული. ქალიშვილების სახელები ისტორიისთვის უცნობია, დასძენს მკვლევარი. შემდეგ პროფესორი მიუთითებს, რომ „ამ სამ დათაგან უფროსს თეიმურაზ მუხრან ბატონი შეირთავს, შუათანას - იასე ქსნის ერისთავი, უმცროსს ფერად ფაშა ჯაყელი.“

მკვლევარი რ. ფირცხალაიშვილი აღნიშნავს, რომ „გიორგი სააკაძეს სამი ასული ჰყოლია, რომელთაგან ერთი იყო მეუღლე მუხრანბატონისა, მეორე - ქსნის ერისთავისა, მესამე - ფარად ფაშისა... სააკაძისა და ფარად ფაშის მოყვრობის შესახებ ცნობა შემონახულა თვით ტფილელის პოემაში („ფარად ფაშა ხომ სიძედ მყვა..“). სააკაძისა და ჯავახიშვილს სასამართლო განჩინების წიგნიდან ვიცით, რომ იმ პერიოდში, როცა ეს სასამართლო შედგა, ე. ი. 1620 წელს, გიორგი სააკაძის ერთი ასული გაუთხოვარი იყო (ეს ის ასულია, რომელზედაც ადრე ჯავახიშვილის ვაჟს სურდა დაქორწინება). ვფიქრობთ, სავსებით მართებულია ის აზრი, რომ შემდეგში სწორედ ეს ქალი უნდა გამხდარიყო ფარად ფაშის მეუღლე“.

მაგრამ, წყაროებში ჩანს გიორგი სააკაძის კიდევ ერთი, მეოთხე ქალიშვილი. მართალია, დოკუმენტი, რომელშიც დაცულია ეს ცნობა, გვიან არის შედგენილი (1729 წ), მაგრამ იგი პირდაპირ მიუთითებს ამ ფაქტზე. ამ დოკუმენტის თანახმად, გიორგი სააკაძის ერთი ქალიშვილი ქართლის ჩხეიძეთა სახლშია. გორგასალ ჩხეიძე, ქექაოზ ჩხეიძის ვაჟი, დიდი მოურავის სიძეა. გიორგი სააკაძის ამ ქალიშვილის სახელიც უცნობია.

უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ წყაროებში ჩხეიძეთა და სააკაძეთა შორის ნათესაურ კავშირზე პირდაპირი ცნობა დაცული არ არის. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამის შესახებ მოგვიანებით გაცემული დოკუმენტით ხდება ცნობილი. კერძოდ, 1729 წელს, ვახტანგ VI-ის მიერ სეხნია ჩხეიძისათვის მიცემულ სიგელში ნათქვამია, რომ „... ბედნიერს პაპაჩვენს მეფეს შანავაზს (ვახტანგ V - თ. ლ.) თავისი დეიდაშვილის პაპაშენის ბეჟანისათვის (გორგასალ ჩხეიძის ვაჟი - თ.ლ.) ქვემო ბოლნისი წყალობა ექნა...“.

როგორც უკვე ცნობილია, თეიმურაზ მუხრანბატონი, ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, გიორგი სააკაძის სიძეა. მისი ვაჟი ვახტანგი გიორგი სააკაძის შვილიშვილია, რომელიც როსტომ მეფემ იშვილა და მისი გარდაცვალების შემდეგ, 1658 წელს, სამეფო ტახტზე ავიდა ვახტანგ V-ის (შახნავაზის) სახელით.

ვახტანგ V შაჰნავაზი და ბეჟან ჩხეიძე 1729 წელს, ვახტანგ VI-ის მიერ გაცემული სიგელის თანახმად, დეიდაშვილები არიან.

როგორც უკვე ვიცით, ვახტანგ V-ის დედა დიდი მოურავის - გიორგი სააკაძის ასულია. ე.ი. ბეჟან ჩხეიძის დედაც გიორგი სააკაძის ასულია.

ამრიგად, დასტურდება ჩხეიძეთა ნათესაობა ქართლის ერთ-ერთ დიდ ფეოდალურ გვართან - სააკაძეებთან. გიორგი სააკაძის სიძეა გორგასალ ჩხეიძე, ბეჟან ჩხეიძის მამა.

ჩხეიძეების გიორგი სააკაძესთან დამოყვრება, ისევე როგორც თეიმურაზ მუხრანბატონისა და იასე ქსნის ერისთავისა, მისი სპარსეთში გადახვეწამდე, 1612 წლამდე უნდა მომხდარიყო. აქვე გვინდა შევეხოთ ერთ საკითხს. მკვლევარი რ. ფირცხალაიშვილი მოგვიანებით, 1998 წელს, მიუბრუნდა ფარად ფაშას საკითხს ვრცელ ნარკვევში „ბრძოლა გიორგი სააკაძის წინააღმდეგ მეოცე საუკუნის დასასრულს“ და ცდილობს მისი ვინაობის გარკვევას. მკვლევარი ერთსა და იმავე პიროვნებად მიიჩნევს ფარად ფაშასა და გორგასალ ჩხეიძეს და წერს: „...გიორგი სააკაძის ერთ - ერთ სიძედ იოსებ ტფილელის პოემაში დასახელებულია ვინმე ფარად ფაშა („ფარად ფაშა ხომ სიძედ მყვა, თავდადებ ჩემთვის მკვდარია“) ... ჩვენი აზრით, აქ იგულისხმება გიორგი სააკაძის სიძე - გორგასალ ჩხეიძე. ფაშობის ტიტული, ცხადია, ხონთქრის წყალობაა. ფარსადან გორგიჯანიძეც გვაუწყებს, რომ როცა გიორგი სააკაძე და მისი თანხმლები პირები თურქეთში ჩავიდნენ, „სამი-ოთხი საფაშო სარჩოდ გაუჩინეს, დიდნი პატივი დასდვეს.“ ერთ-ერთი საფაშოს ფაშად, როგორც ჩანს, გორგასალ ჩხეიძე უნდა ვივარაუდოთ. სხვათაშორის, თურქეთში თვით გიორგი სააკაძისთვისაც უბოძებიათ ფაშობის ტიტული, მისთვის „მეჰმედ ფაშა“ შეურქმევიათ... ფარად ფაშის შესახებ იოსებ ტფილელის ცნობაში წარმოდგენილია ერთი ამოსაცნობი ბიოგრაფიული დეტალიც, რითაც, ვფიქრობთ, სრულიად სარწმუნო ხდება, რომ ფარად ფაშა იგივე გორგასალ ჩხეიძეა. ტფილელი ფარად ფაშას უწოდებს გიორგი სააკაძის სიძეს და ამავე დროს აღნიშნავს, რომ იგი „თავდადებ მკვდარია“ გიორგი სააკაძისთვის. ასეთი პირი იყო სწორედ გორგასალ ჩხეიძე, რომელმაც თავისი ნებით თავი დასდო მოსაკვეთად გიორგი სააკაძის საქმისთვის“.

ვფიქრობთ, მკვლევარი უნდა ცდებოდეს, როცა იგი საუბრობს ფარად ფაშისა და გორგასალ ჩხეიძის იდენტურობაზე.

თუ ფარად ფაშა და გორგასალ ჩხეიძე ერთი და იგივე პიროვნებაა და მისივე თქმით გიორგი სააკაძის მესამე ქალიშვილი, რომელიც 1620 წლისათვის ჯერ კიდევ გასათხოვარია, მისი მეუღლეა, მაშინ ისტორიულ რეალობას რა ვუყოთ? 1619 წლის სიმონ II-ის წყალობის სიგელში გორგასალ ჩხეიძე ხომ თავის შვილებთან - ბეჟანთან, ქაიხოსროსთან და დავითთან ერთად მოიხსენიება.

თუ გორგასალ ჩხეიძეს (რ. ფირცხალაიშვილსათვის იგივე ფარად ფაშას) და გიორგი სააკაძის ქალიშვილის ქორწინება 1620 წლის შემდეგ შედგა, მანამდე როგორ გაჩნდა მათი სამი შვილი?

არც „ერთი ამოსაცნობი ბიოგრაფიული დეტალი“ მიგვანიშნებს მათ იდენტურობაზე. მართალია, იოსებ ტფილელი ფარად ფაშაზე ამბობს, რომ იგი გიორგი სააკაძისთვის „თავდადებ მკვდარია“ და „ასეთი პირი იყო სწორედ გორგასალ ჩხეიძე, რომელმაც თავისი ნებით თავი დასდო მოსაკვეთად გიორგი სააკაძის საქმისთვის“, მაგრამ რომელმა მისმა თანამებრძოლმა არ გაიზიარა დიდი მოურავის ხვედრი? ანგარიშგასაწევი უნდა იყოს პროფესორ გ. ჯამბურიას მოსაზრება ფარად ფაშას შესახებ. როდესაც მკვლევარი გიორგი სააკაძის მიერ მოსალოდნელი აჯანყებისათვის საგარეო მოკავშირეების ძიებას ეხება, წერს: „აღნიშნულ პოლიტიკურ მიზანს უნდა ისახავდეს სააკაძის ქალიშვილისა და ფარად ფაშას (იგი ათაბაგების გამუსლიმანებული ჩამომავალი უნდა იყოს) ქორწინება, რომელიც სწორედ აჯანყების სამზადისის პერიოდში, 1620-1624 წლებში მოხდა. ფარად ფაშას, რომელიც ოსმალეთის მოხელე იყო, საჭიროების შემთხვევაში, სააკაძის ოსმალეთთან დაკავშირება შეეძლო“.

(დასასრული V გვერდზე)

ჩხეიძეთა და სააკაძეთა ფეოდალური სახლების ურთიერთობის ისტორიისათვის

(დასასრული)

არ შეიძლება, ამ შემთხვევაში, არ გავიხსენოთ იოსებ თბილელის „დიდ-მოურავიანში“ დაცული კიდევ ერთი ცნობა გიორგი სააკაძის სიძის შესახებ.

„ ხელმწიფესა დიდადა სჩანს, მისთვის არის დიდად კარგი,
ხაზინადარ სიძეთა ყავს, ხელმწიფისა დიდად მარგი“

ე.ი. იოსებ თბილელი პირდაპირ მოუთითებს, რომ ფარად ფაშა ხაზინადარია.

ამასთან დაკავშირებით, პროფესორი ნ. შენგელია აღნიშნავს: „იოსებ თბილელის მიხედვით, გ. სააკაძის სიძე, რომელიც ჯაყელთა საგვარეულოს წარმომადგენელია, ოსმალო სულთნის სამსახურში იმყოფება, ხაზინადარის მოვალეობას ასრულებს. ხაზინადარის თანამდებობა კი საკმაოდ მაღალი პოსტი იყო ოსმალეთის იმპერიაში. ადვილი შეასძლებელია, რომ ფარად ფაშა ხაზინადარი ყოფილიყო არზრუმის ვილაიეთში...“

კიდევ ერთი დეტალი: ბაზალეთის ომის შემდეგ, გიორგი სააკაძე ცოლ-შვილს სამცხეში აგზავნის: „ცოლ-შვილი სამცხეს დავაგდე, მოყვრები მიიბარევდეს“. ე.ი. 1626 წლისათვის თვალნათლივ ჩანს, რომ გიორგი სააკაძეს მოყვრები ჰყავს სამცხეში, ცხადია, თავისი სიძის- ფარად ფაშის სახით. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფარად ფაშა არ იქნება გორგასალ ჩხეიძე, რომელიც დიდი მოურავის გვერდით ჩანს ბაზალეთში და მარცხის შემდეგ გიორგი სააკაძესთან ერთად გადაიხვეწება ოსმალეთში.

გიორგი სააკაძე, როგორც ცნობილია, აქტიურად იბრძოდა ქვეყნის ერთიანობისათვის, ცენტრალიზებული ხელისუფლების გამტკიცებისათვის. ირკვევა, რომ გორგასალ ჩხეიძე გიორგი სააკაძის ერთგული თანამებრძოლია, იგი უნდა შედიოდეს დიდი მოურავის თანამოაზრეთა, ე.წ. ”მოკიდებულ კაცთა” შემადგენლობაში.

მართალია, ისტორიულ წყაროებში არაფერია ნათქვამი, მაგრამ როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უნდა ვიფიქროთ, რომ გორგასალ ჩხეიძე, დიდი მოურავის გვერდითაა 1626 წელს ბაზალეთის ბრძოლაში. ხოლო მარცხის შემდეგ, იგი მასთან ერთად ტოვებს საქართველოს და ოსმალეთში მიდის. გორგასალ ჩხეიძემ დიდ მოურავთან ერთად გაიზიარა მისი ხვედრი, სამშობლოსაგან შორს, ჯალათის მიერ გამოტანილი განაჩენის სიმძიმე.

ქართლის ცხოვრების ავტორები თითქმის ერთნაირად მოგვითხრობენ დიდი მოურავის ოსმალეთში მოღვაწეობისა და მისი უკანასკნელი დღეების შესახებ.

საყურადღებოა ის, რომ დიდი მოურავის გვერდით ოსმალეთში არამარტო მისი სიძე, გორგასალ ჩხეიძეა, არამედ აქვეა მისი შვილიშვილიც, გორგასალის უფროსი ვაჟი - ბეჟან ჩხეიძე.

ბერი ეგნატაშვლი მოგვითხრობს: „და უყო მოურავს ხოთქანმარ წყალობა და მისცა სანჯახები და დააყენა მოურავმან ცოლი და შვილი მისი იორამ მუნ სანჯახშია. ხოლო მოურავმან გმო სჯული თვისი და იქმნა მაჰმადიან და სთხოვა და ჯარი ხონთქარსა და დააპირა, რომ წავალ და დავიჭერ ქართლსაო და სულ გავათათრებო და დაგამონებ ყმათაო. ხონთქარი მაშინ ყეენის გარიგებული იყო და უთხრა ხონთქარმან: ერთი ქუეყანა მაქუსო გამდგარიო და იმაზედ გაგაყენებო და თუ იმაზედ გაგემარჯვება და დაიჭერო, მასუკან მაგასაც გაგირიგებო. გაგზავნა და გაატანა აზამ ვეზირი თანა დიდის ჯარითა. რა მივიდნენ, მუნცა დიად კარგად იყო მოურავი: შეება და გაიმარჯვა.

აზამ ვეზირს ხონთქარის და ჰყუანდა ცოლად. და, რა ესე ამბავი მიუვიდა ხონთქარსა, იამა დიდათ და დიდი სახელი და ხმა დაუვარდა მოურავსა. მაშინ იწყინა ხონთქარის დამა, რომელი ედგა ვეზირსა, და მისწერა წიგნი: ”როგორი საქმე არის და, ან როგორ გეკადრებაო, სულ მოურავის სახელი მოდის და შენი არაო”. მაშინ უდალატა ვეზირმან: და დაჰპატიჟა და ღალატით მოკლა მოურავიცა და შვილებიცა და გამგებელი ქაიხოსრო და, რაცა ჰყუანდა, ყოველივე ამოუწყვიტა. ერთი შვილი ახლდა თანა ავთანდილ, მოუკლეს იგიცა. მაშინ თან ახლდა გორგასალ და შვილი მისი ბეჟან და წააყენეს ბეჟან სასიკუდილოდ. მაშინ შეეხვეწა და ქრთამი მისცა იასაულს, რომ მაგ ჩემ შვილს კი ნუ მოკლავ და მე მომკალიო, ჩემი თავი ანგარიშში გაგეთვლებაო და მაგას ნუ მომიკლავო. მაშინ ისმინა მტარვალმან და არდარა მოუკლა შვილი, თვით გორგასალ მოკლა: თავი მოსჭრა, მიიტანა და ანგარიშში გააროინა. ბეჟან მორჩა წარმოვიდა”.

თითქმის იგივეს მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილიც: „ხოლო ქაიხოსრო და მოურავი წარვიდნენ სტამბოლს წინაშე ხონთქრისა. მისგან მოითხოვეს სპანი, რათა დაუპყრან ქართლი და მუნცა მაჰმადიან იქმნა მოურავი. მაშინ ზავი იყო ხონთქარსა და ყეენსა შორის და არა ინება ხონთქარმან, არამედ წარავლინა ქაიხოსრო და მოურავი სხუასა ქუეყანასა ბრძოლად და, უკეთუ დაიპყრან იგი, შემდგომად წარავლინოს ქართლს სპითა დიდითა. მისრულთა ვეზირ-აზამისა თანა ქაიხოსრომ და მოურავმან ქუეყანასა მას დიდნი სახელნი ქმნა მოურავმან და დაიპყრა ქუეყანა იგი, და ესე აუწყეს ხონთქარსა. არამედ ცოლი ვეზირ-აზამისა იყო დაი ხონთქრისა, ამან მჭმუნვარემან მიუწერა ქმარსა, თვისსა: „რაი არს ესე, რომელ განდიდნა სახელი მოურავისა და არა რაი ისმის სახსენებელი შენი. ამისთვის უმჯობეს არს სიკუდილი შენი ყოფასა შენსა”.

განრისხნა ვეზირ - აზამი, შეიპყრა ქაიხოსრო, მოურავი და ყოველნი ქართველნი მათ თანანი და წარკუეთნა ყოველთა თავნი. არამედ გორგასლის შვილს - ბეჟანს რა ჰკუეთდენ თავსა, ეტყოდა მამა მისი მტარვალსა მას ნიჭის მიცემითა: ”მე მომკუეთე თავი და განუტევე ძე ჩემი”. რამეთუ იგი განტევებულ იყო ნიჭისა მისთვის, განუტევა ბეჟან და წარკუეთა თავი გორგასალს..”

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ არცერთი მემატიანე, არც ბერი ეგნატაშვილი და არც ვახუშტი ბატონიშვილი, მამა-შვილის - გორგასალისა და ბეჟანის გვარს არ ასახელებენ, არც დიდ მოურავთან მათ ნათესაურ კავშირზე მიუთითებენ.

როგორც ვხედავთ, საოცარი დრამატიზმით გამოირჩევა დიდი მოურავის ცხოვრების უკანასკნელი დღეები, რომელსაც უფრო მეტად ამძაფრებს მისი სიძისა და შვილიშვილის თავს დატრიალებული ამბავი. ეს იყო ტრაგიზმით აღსავსე წუთები მამა-შვილის ცხოვრებაში, როცა შექნილ სიტუაციიდან გამომდინარე ერთ-ერთის სიცოცხლეს წერტილი უნდა დასმოდა. მაგრამ ამ სიტუაციაში გორგასალ ჩხეიძემ გადადგა ნაბიჯი, რომელიც თაობების ხსოვნაში დარჩა, როგორც მამაშვილობის სწორუპოვარი მაგალითი. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ იყო მხოლოდ ემოციების შედეგად მიღებული, ეს იყო გააზრებული, თავისი შედეგით წინასწარ გაცნობიერებული გადაწყვეტილება.

გორგასალ ჩხეიძე, როგორც ზემოთ მოხმობილი ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებიდან ირკვევა, შემთხვევით ასცდა დაპატიმრებას, მაგრამ დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდა მისი ვაჟი - ბეჟან ჩხეიძე. ჯალათს ტყვეები თვლით მიუბარებია და შესაბამისად, მათი მოკვეთილი თავებიც თვლით უნდა ჩაებარებინა ვეზირ აზამისათვის. ალბათ, გორგასალს შეეძლო, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სასწრაფოთ გაცლოდა იქაურობას და თავი გადაერჩინა. მაგრამ მან უმაგალითო გმირობა და თავგანწირვა გამოიჩინა - თავისი თავი შესთავაზა ჯალათს შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ - „მაგ ჩემ შვილს კი ნუ მოკლავ და მე მომკალიო, ჩემი თავი ანგარიშში გაგეთვლებაო.” ჯალათმა ყურად იღო გორგასლის თხოვნა და მისი ვაჟი, ბეჟანი გაათავისუფლა. გორგასალმა კი დიდი მოურავისა და სხვა დატყვევებული ქართველების ბედი გაიზიარა.

ამრიგად, დიდი მოურავის ამალიდან მხოლოდ მისი შვილიშვილი ბეჟან ჩხეიძე გადაურჩა სიკვდილს, რომელიც XVII საუკუნის 30-წლების დასაწყისში უკან, საქართველოში დაბრუნდა.

ამ დროს, ქართლში, სამეფო ტახტზე, უკვე როსტომი იჯდა, რომელმაც მფარველობა და ყურადღება არ მოაკლო თავისი მამიდაშვილის - გორგასალ ჩხეიძის შვილს, გიორგი სააკაძის შვილიშვილს ბეჟან ჩხეიძეს და მის სახლს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გიორგი სააკაძის ოჯახი ამ დროს ისევ ოსმალეთშია.

როსტომ მეფის 1633 წლის 1 მაისის სიგელით ბეჟანმა სამეფო კარისგან წყალობად მამულები მიიღო ლიახვის ხეობაში კარბისა და გვრითიბის სახით:

„...ჩვენ მეფემან პატრონმან როსტომ, ესე წყალობისა წიგნი გიბოძეთ თქვენ ჩვენს მამიდაშვილს ჩხეიძეს ბეჟანს, ქაიხოსროს, დათუნასა, შვილთა და მამავალთა სახლისასა თქვენისათა ყოველთავე, მას ჟამს ოდეს მოგვადეგით კარსა და მამულისა წყალობასა დაგვეაჯენით. ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ლიახუს ქვეშეთ კარბს და გვრითებში რაც ზედგენიძე თამაზას ნაქონი მამული მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, სახნავითა და უხნავითა, შენითა და ოხრითა და ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა თქვენთვის სამკვიდროდ და სამამულედ გვიბოძებია.’

1634 წელს, უკვე ქართლის დედოფალმა მარიამმა უწყალობა ბეჟან ჩხეიძეს და მის ძმებს ზურაბიშვილები თავიანთი მამულით: ”...ჩვენ დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ, ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერდგულსა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა ყმასა ჩხეიძე ბეჟანს და ქაიხოსროს და დავითს და ნიკოლაოზს, მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე, მას ჟამსა ოდეს მოგვადეგით კარსა და (თ)ქვენისავე ყმის ზურაბიშვილსა და მის მამულს გვეაჯენით და ჩვენცა ყოვლის კაცისაგან უცილებლათ და შემოუსარჩებლათ სამკვიდროთ და საბოლოოთ შეგიწყალეთ და გიბოძეთ ზურაბაშვილები მათის მამულითა, რისაც მქონებელნი იყვნენ...”.



ზემოთ მოტანილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ გორგასალ ჩხეიძეს გარდა ბეჟანისა, ჰყოლია კიდევ სამი ვაჟი: ქაიხოსრო, დავითი და ნიკოლოზი. როსტომი სიგელში ხაზგასმით მიუთითებს მასთან ჩხეიძეთა ნათესაობას. მართალია, იგი ბეჟან ჩხეიძეს მოიხსენიებს მამიდაშვილად, მაგრამ როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მისი მამიდაშვილი არის – ბეჟანის მამა, გორგასალ ჩხეიძე.

XVII საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს, არაუგვიანეს 40 - იანი წლების დასაწყისისა, ჩხეიძეები იტრიაში უნდა დამკვიდრებულიყვნენ.

ჩხეიძეებმა სათანადო ყურადღება გამოიჩინეს იტრიის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიისადმი. არც ამ შემთხვევაშია სამეფო კარი უყურადღებოდ.

ამაზე მიგვანიშნებს ბეჟან ჩხეიძის ძმის - ქართლისა და თბილისის მთავარეპისკოპოსის ნიკოლოზ ჩხეიძის იტრიის ეკლესიისადმი შეწირულობის სიგელის ერთი ადგილიც. კერძოდ, სიგელში ნათქვამია: ”...ესეცა მოვინდომეთ რომე ჩუენგან გლეხიცა შემატებოდა და შესწირვოდა (ეკლესიას - თ.ლ.) ამისთუის ჩუენის დიდის ქრთამითა მირთმევითა და შეხუეწნითა მეფესა როსტომს ხუთი კომლი ჩუმათელიძე შემოვაწირვინეთ და მტკიცედა შეუცილებელი ძეგლი და სიგელიცა დავადებინეთ”.

როსტომ მეფემ თავისი გამეფებისთანავე, გიორგი ბატონიშვილის მიერ 1584 წლის იტრიის ეკლესიისათვის მიცემული წყალობის წიგნი თავის მხრივ დაამტკიცა, ხოლო 1645 წელს, სპეციალური სიგელით, ეკლესიას „მცირე და უნდო.. შესაწირავი სურამ ზეით ჩუმათელიძეები” შესწირა.

როსტომ მეფის გამოჩენილი ყურადღება ჩხეიძეთა მიმართ მარტო ნათესაობით არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული. აქ უმთავრესი ფაქტორი ჩხეიძეთა დიდ პაპაში, გიორგი სააკაძეში, უნდა ვეძიოთ. როგორც ცნობილია, გიორგი სააკაძემ, ირანში ყოფნის დროს, დიდი როლი ითამაშა როსტომის დაწინაურებაში, მისი კარიერის შექმნაში. იოსებ თბილელი გიორგი სააკაძეს როსტომზე ათქმევინებს:

„ხოსრო მირზა მე გავჰხადე ხელმწიფესთან გამოჩენით,
მოვახსენე „შიწყალე თქვენ სიუხვე მაზედ ქენით!“
ვეხმაროდი, ბევრს ვაძლევდი, შევიტკბობდი ტკბილის ენით,
გავამდიდრე, მე ჩამოვხსენ ღარიბობის ცრემლის დენით“.

ამიტომაა, რომ ქართლის სამეფო კარისგან შერისხული გიორგი სააკაძისა და მისი ახლობლების რეაბილიტაცია სწორედ როსტომ მეფეს სახელს უკავშირდება, ჯერ ჩხეიძეთა, ხოლო შემდეგ გიორგი სააკაძის შვილის, ოსმალეთიდან დაბრუნებული იორამ სააკაძის მიმართ გამოჩენილი ყურადღებით.

თამაზ ლაცაბიძე

სალიანდაგო სამმართველოს ფეხბურთელთა გუნდი მეხუთედ გაჩემპიონდა

18-22 ივნისს, საქართველოს რკინიგზის პროფესიული კავშირის და მისი თავმჯდომარის, ზურაბ ნასარიას ორგანიზებით გაიმართა რეგიონული ტურნირი მინიფეხბურთში. ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღვით აგრეთვე ხაშურის რეგიონში პროფკავშირის გამგეობის წარმომადგენელს მილერი ლომიძეს, რკინიგზის სამსახურის ხელმძღვანელებს, პირველადი პროფკავშირების თავმჯდომარეებს, სასპორტო სკოლის დირექტორს ივანე ხარაზიშვილს და ამავე სკოლის სპეციალისტებს იური ნოზაძეს და მევლუდ ლომიძეს. ტურნირი ჯგუფური სისტემით წარიმართა და თითოეულ გუნდს ოთხი შეხვედრის ჩატარება მოუწია. პირველობა კი, ამ ტრადიციული ტურნირის ისტორიაში, უკვე მეხუთედ არავის დაუთმო უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოს გუნდმა. მეორე ადგილი სალოკომოტივო დეპოს გუნდმა მოიპოვა.

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასით, მედლებითა და დიპლომებით.

ჩემპიონების შემადგენლობა კი ასეთი იყო: **გიორგი ბაბლიძე, გიორგი კაკიაშვილი, პაპუნა რევაზიშვილი, სიმონ ბლიაძე, ჯაბა ჩადუნელი** (კაპიტანი), **გიორგი გოგოლაძე, იმედა მეტრეველი** (მოთამაშე მწვრთნელი), **გიორგი ბეროზაშვილი, დავით გომარელი, ბექა თომაძე, ირაკლი ყველიაშვილი.**

22 ივნისს, პარალელურად, გაიმართა ტურნირი მკლავჭიდსა და გირების აზიდვაში.

საპრიზო ადგილები ასე გადანაწილდა: მკლავჭიდი (მარჯვენა ხელით) - I – **ვლადიმერ კიკნაძე** (სალოკომოტივო დეპო), II – **გიორგი ტალახაძე** (სალიანდაგო სამმართველო), III – **იმედა გიორგაძე** (სავაგონო დეპო). მარცხენა ხელით: I – **ვლადიმერ კიკნაძე**, II – **ვიტალი ბერიძე** (სავაგონო დეპო), III – **ალექსი მელიქიძე** (სადგური ხაშური).

24 კგ. გირის აზიდვა: I – **გიორგი ტალახაძე** (სალიანდაგო სამმართველო), II – **თეიმურაზ ვარძელაშვილი** (სავაგონო დეპო).

32 კგ. გირის აზიდვა: I – **გიორგი მახთაძე** (ელექტრომომარაგება), II – **ვალერი მესხი** (სალიანდაგო სამმართველო).

იმედა მეტრეველი,

რკინიგზის პროფესიული კავშირის უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოს პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე

- ვერნისაჟი -

მანდილიონმა ანგარიში ჩააბარა

27 ივნისს, სასტუმრო "ივერიას" საკონფერენციო დარბაზში, გაიმართა ხატწერის სკოლა "მანდილიონის" მოსწავლეების მიერ შექმნილი ფერწერული ტილოებისა და ხატწერის ნიმუშების გამოფენა. აღნიშნული გამოფენა ერთგვარი საანგარიშო იყო, 60-მა მოსწავლემ, 200-მდე ნამუშევარი გამოფინა დამთვალიერებლისთვის. წარმოდგენილი იყო როგორც ფერწერა,გრაფიკა,ასევე მოსწავლეების მიერ დაწერილი ხატები-თემატიკა წელსაც მრავალფეროვანი იყო. როგორც "მანდილიონის" სკოლის ხელმძღვანელმა და გამოფენის ორგანიზატორმა ირაკლი ლიჩელმა გვითხრა:

–დღევანდელ გამოფენაში 60 მოსწავლე მონაწილეობდა, წარმოადგინეს 200 ნამუშევარი, რაც იმის დამადასტურებელია, რომ სკოლა ყოველწლიურად იზრდება და მეტ ბავშვს აძლევს შესაძლებლობას, განავითაროონ საკუთარი ნიჭი. რაც შეეხება, ხატწერას, ვცდილობთ, ვასწავლოთ შუასაუკუნეების აღმოსავლური ხატწერა, რომელიც ყველაზე საინტერესო ეპოქაა ზოგადად მხატვრობის კუთხით. ეს გამოფენა წლევანდელი წლის საანგარიშო გამოფენაა, ერთგვარი შეჯამებაა მთელი განვლილი წლის. მშობლებს, საზოგადოებას ვაჩვენეთ ერთწლიანი მუშაობის შედეგი. გადავეცით წლის შემაჯამებელი სიგელები, რომელიც აღნიშნავს მათ წარმატებულ მუშაობას. წელს, ხუთი მოსწავლე ხატწერის ოთხწლიანი კურსის პირველი კურსდამთავრებულები არიან, წარმატებებს ვუსურვებ მათ. მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან ბევრი კარგი და ნიჭიერი ბავშვია, რომლებიც სამომავლოდ თავის სიტყვას იტყვიან ხატწერისა და მხატვრობის კუთხით.

„მკითხველთა კლუბმა" ერთწლიანი მუშაობის შედეგები შეაჯამა

26 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის შემოქმედებით განვითარების ცენტრში, ერთწლიანი მუშაობის შედეგი წარმოადგინეს მკითხველთა კლუბის წევრებმა სახელწოდებით "მკითხველის დღიურები". ღონისძიების მასპინძელმა და კლუბის დამაარსებელმა ნინო დოფიძემ, კითხვაზე შეყვარებულ მოსწავლეებთან ერთად, ისაუბრა წიგნის მნიშვნელობაზე. ბავშვებმა მათთვის საყვარელი ავტორები და წიგნები განიხილეს. ისაუბრეს შინაარსზე, იდეაზე და გავლენაზე, რომელსაც წიგნი ახდენს ადამიანზე. ღონისძიების ბოლოს, გადაეცათ „მკითხველობის უმაღლესი ჯილდო მუა". "მკითხველთა კლუბი" სექტემბრიდან ისევ განაგრძობს აქტიურ მუშაობას და ელის კლუბის ახალ წევრებს.

D საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს ფლევის საჯარო სკოლის დირექტორს ზურაბ ლომიძეს, დედის

ვარას გარდაცვალების გამო.

ფლევის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექპერსონალი თანაუგრძნობენ ამავე სკოლის დირექტორს ზურაბ ლომიძეს, დედის

ვარას გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.